საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 82
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №04

ქ. ბათუმი 10 ივნისი, 2015 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 9 სექტემბრის N2 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე-10 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 9 სექტემბრის N2 გადაწყვეტილებაში შეტანილი იქნეს ცვლილებები, კერძოდ:

ა) შინაგანაწესის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 3. შვებულება

1. აკადემიური პერსონალის ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრება არაუმეტეს 48 კალენდარული დღით, სასწავლო წლებს შორის შუალედის გათვალისწინებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანების შესაბამისად.

2. უნივერსიტეტის დასაქმებული (სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი) უფლებამოსილია ისარგებლოს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით - 24 სამუშაო დღით, დამსაქმებლის ბრძანების შესაბამისად.

3. უფროს მასწავლებელს/მასწავლებელს/მოწვეულ სპეციალისტს ანაზღაურებადი შვებულება ეძლევა იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია შრომის ხელშეკრულებით და დადებულია 11 თვეზე მეტი ვადით.

4. უნივერსიტეტის სამეცნიერო ან ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობის პირი, რომელსაც უნივერსიტეტში იმავდროულად უკავია აკადემიური თანამდებობა, უფლებამოსილია ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით, შესაბამისი საშვებულებო პერიოდისა და ანაზღაურების ოდენობით. იგი, როგორც აკადემიური თანამდებობის პირი, ასვე გადის ანაზღაურებად შვებულებაში სხვა აკადემიურ პერსონალთან ერთად, ბსუ-ს რექტორის ბრძანების შესაბამისად.

5. უნივერსიტეტის სამეცნიერო ან ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობის პირს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით იმ პერიოდშიც, თუკი ის, როგორც აკადემიური თანამდებობის პირი იმყოფება ანაზღაურებად თუ ანაზღაურების გარეშე შვებულებაში.

6. განცხადება შვებულების მოთხოვნის შესახებ რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უნდა წარედგინოს საშვებულებო პერიოდის დაწყებამდე 5 დღით ადრე მაინც. აღნიშნული ვადის შემცირება დასაშვებია განსაკუთრებულ შემთხვევაში, დასაბუთებული განცხადების წარმოდგენისას.

7. შვებულების მოთხოვნის შესახებ განცხადება დაკმაყოფილდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ან სტრუქტურული ერთეულის უფროსის თანხმობა. დამსაქმებელი, დეკანი და სტრუქტურული ერთეულის უფროსი უფლებამოსილია უარი თქვას თანხმობის გაცემაზე, თუ მოცემულ პერიოდში, სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი არ არის უნივერსიტეტის პერსონალის მიერ შვებულებით სარგებლობა.

8. უნივერსიტეტის სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი უფლებამოსილია ნაწილ-ნაწილ გამოიყენოს კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულება.

9. დაუშვებელია ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების შეცვლა ფულადი კომპენსაციით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამსახურიდან გათავისუფლებულ პირს შვებულებით არ უსარგებლია.

10. უნივერსიტეტის დასაქმებული უფლებამოსილია ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით, წელიწადში არანაკლებ 15 კალენდარული დღის ოდენობით და ერთდროულად არაუმეტეს 1 წლისა. ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.
11. აკადემიური პერსონალის მიერ ანაზღაურების გარეშე შვებულების მოთხოვნა დასაშვებია სასწავლო სემესტრის დაწყებამდე 2 კვირით ადრე. ამ ვადის დარღვევით შემოტანილი

განცხადება დამსაქმებლის მიერ განიხილება მხოლოდ განსაკუთრებული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას.

12. ანაზღაურების გარეშე შვებულებიდან ვადაზე ადრე დაბრუნების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, შესაძლებელია მომდევნო სემესტრამდე დასაქმებულს ვერ აღუდგეს შესაბამისი აკადემიური დატვირთვა.

13. თუ დასაქმებულისათვის მიმდინარე წელს ანაზღაურებადი შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე, დასაქმებულის თანხმობით დასაშვებია შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის. აკრძალულია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ 2 წლის განმავლობაში.

14. წარმომადგენლობითი საბჭოს/აკადემიური საბჭოს/ფაკულტეტის საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალის წარმომადგენელის შვებულებაში ყოფნა არ გამორიცხავს მის მონაწილეობას ამ საბჭოების სხდომებში“.

ბ) შინაგანაწესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. აკადემიური შვებულების მოთხოვნის უფლება აქვს იმ პირს, რომელიც აკადემიური შვებულების მოთხოვნამდე უწყვეტად 5 წელი მუშაობს ბსუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე“.

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე ბსუ-ში დასაქმებულებთათვის საჯაროდ გამოცხადების მიზნით.
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ.ბარათაშვილი**